ალექსანდრე ჭავჭავაძე

მეზღვაურის ნაამბობი



საბლიჩგაამი

1 9 4 3

ა. ჭ.

~~ალექსანდრე~~ ჭავჭავაძე

38430

მეზღვაურის ნაამბობი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г

საქ. სსრ. განსახკომი

19 საგლიტგამი 43

თბილისი

წინასიტყვაობა

მეზღვაურის ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა, მამუკა ჭავ-ჭავაძე, სამხედრო პირი იყო, რომელმაც ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის დაცვაში გმირის წოდება მიიღო. ალბომში „Герой Севастопольской войны“ (1854—1856) სადაც სევასტოპოლის დამცველების გმირობაა ასახული, მამაუკა ჭავჭავაძის მამაცობის აღწერას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი.

მამუკა ჭავჭავაძის ოჯახთან ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს, რომლის ბევრი ლექსი მამუკას მეუღლეს რუსულ ენაზე უთარგმნია. ილიას გარდა მამუკას ოჯახში ხშირად იყო და დახმარება-სტრუნველობასაც ღებულობდა ჩვენი დიდი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი.

ასეთ ოჯახში დაიბადა და დავაჟკაცდა ქართველი მეზღვაური ალექსანდრე ჭავჭავაძე. ალექსანდრეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მშობლები, განსაკუთრებით დედა, როგორც თავისი მეგობარი, გულის მესაიდუმლე და მწერლობის კარგი მცოდნე და მოყვარული. უთუოდ აქედან დაჰყვა ალექსანდრეს ის ლიტერატურული ნიჭი, რომელიც ასე გამოსჭვივის მის წერილებში დედისადმი.

ალექსანდრემ სწავლა დაიწყო თბილისის კადეტთა კორპუსში, იქ სწავლა მას ვერ აკმაყოფილებდა, სწყუროდა მეწღვაურად გახდომა და მთელი არსებით ზღვისაკენ მიისწრაფოდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ საზღვაო საქმის მეტად რთული და ძნელი სკოლა განვლო. 18 წლის ახალგაზრდამ 1887 წელს შორი ნაოსნობის შტურმანის წოდების მოსაპოებელი გამოცდა ჩააბარა და მას შემდეგ 1900 წლამდე რუსეთის ნაოსნობისა და ტრანსპორტის საზოგადოების გემებზე მუშაობდა განუწყვეტლივ, ჯერ კაპიტნის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ კაპიტნად. 1900 წელს იგი უკვე სახელმწიფო სადიპლომო გამოცდებს აბარებს კაპიტან-შკიპერის

წოდებაზე და ისევ შორ ნაოსნობას განაგრძობს. ერთი წლის შემდეგ ჭავჭავაძე კვლავ ლენინგრადში ბრუნდება. ახლა იგი მიჩმანის წოდებაზე აბარებს გამოცდას, შედის საზღვაო კორპუსში და ბალტიის ზღვაში იწყებს მუშაობას. რუ-სეთ-იაპონიის ომის დროს იგი შორეულ აღმოსავლეთში (ვლადივასტოკში) იგზავნება და იქ ნაღმოსანს მეთაურობს ომის დამთავრებამდე. პირველ იმპერიალისტურ ომში იგი უკვე კრეისერ „მიტავას“ უფროსი ოფიცერია, ხო-ლო 1916 წელს ბალტიის ზღვის წყალქვეშა ნავების დი-ვიზიონის უფროსი.

იმდროინდელი რუსეთის ბევრი ადმირალი შენატრო-და თურმე ალექსანდრე ჭავჭავაძის საზღვაო საქმის დიდ ცოდნასა და ნაოსნობის ხანგრძლივ გამოცდილებას. სამ-ჯერ შემოუარა მან დედამიწას ირგვლივ და, ამას გარდა, ორ დიდ ომში მიიღო მონაწილეობა.

1916 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე გულის ხუთვით ხდე-ბა ავად და კისლოვოდსკში მიდის სამკურნალოდ. ავად-მყოფობა საშუალებას არ აძლევს კვლავ ჩრდილოეთს დაბრუნდეს. იგი იძულებულია სამშობლოში ჩამოვიდეს და აქ განაგრძოს თავისი მოღვაწეობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობდა სამშობლოს სასა-რგებლოდ მთელი თავისი ცოდნა და დიდი გამოცდილება წარემართა. 1918 წელს იგი სამხედრო-საზღვაო სექ-ციაში იწყებს მუშაობას თბილისში, მაგრამ კაბინეტურ მუშაობას ვერ ეგუება და კვლავ ზღვისაკენ მიისწრაფის. 1919-1920 წლებში ის ფოთის ნავთსადგურის უფროსია. 1923 წელს ბათუმში მისი თაოსნობით იხსნება საზღვაო სასწავლებელი, რომელიც ლენინგრადის შემდეგ მეორე საზღვაო სასწავლებელი იყო მთელს კავშირში.

საზღვაო სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან ერთად ალექსანდრე ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის ფლოტის შექმნაში. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეზღვაურთა შორის და მისი მოწაფეები დღეს უკვე განთქმული საბჭოთა ადმირალები არიან. სა-ზღვაო ცოდნასთან ერთად მას საერთო განათლებაც დი-

დი ჰქონდა. მშვენივრად იცოდა ინგლისური, ფრანგული, იტალიური ენები და, როგორც მისი დღიურიდან სჩანს, კალამიც კარგად უჭრიდა. „მეზღვაურის ნაამბობი“ ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაოსნობის მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდს ასახავს. იგი მან 1893 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „Кавказ“-ში. ამას გარდა, მას დარჩა თავისი ხანგრძლივი ნაოსნობის ჯერ დაუბეჭდავი დღიურები, რომელიც მეტად საინტერესო ეპიზოდებს შეიცავს.

არა ერთხელ იყო ა. ჭავჭავაძე დაჯილდოებული გმირობისა და სიმამაცისათვის. 1925 წელს იგი 56 წლისა გარდაიცვალა ბათუმში. საბჭოთა მთავრობამ ძეგლი დაუდგა მას ბათუმის სამხედრო სახაფლაოზე.

ვლ. ხუნდაძე.

სრული ერთი კვირაა, რაც უკანასკნელ ნაოსნობიდან დავბრუნდი. ამ მოგზაურობის დროს ჩვენი გემი დაიღუპა და მეც დიდი გაჭირვება გამოვიარე. ნაცნობები დაძაბული ყურადღებით ისმენენ ჩემს ამბავს, უამრავ შეკითხვას მაძლევენ და თან მირჩევენ გამოვაქვეყნო, რაც გადამხდენია და მინახავს. ვფიქრობ, ინტერესს არ იქნება მოკლებული ეს ამბავი, ამბავი ბევრისათვის ნაკლებად ცნობილი მეზღვაურის ცხოვრებისა. ეს ამბავი სავსეა მძიმე ჯაფით, ფათერაკით და გაჭირვებით, მაგრამ სამაგიეროდ მდიდარიცაა ათასგვარი შთაბეჭდილებით და მოულოდნელი განცდებით.

გამოგიტყდებით და ვიტყვი, რომ თხრობა მიმძიმს, რადგან არ ვიცი, საიდან დავიწყო.

სწავლა თბილისის კადეტთა კორპუსში დავიწყე. მეორე კლასში მაინ-რიდის[1]) რომანებს დავეწაფე და თან ვოცნებობდი ახალ ქვეყანაში ველურთა შორის და უდაბურ ტყეებში ცხოვრებაზე. ერთხელ ქალალდის პარკში გავახვიე პურის ნატეხები, ხორცის ნაჭრები, თან ამხანაგიც ავიყოლიე და ერთ შაბათ დღეს ამერიკისაკენ გავეშურეთ. ქალაქიდან მეორე სადგურზე ღამემ მოგვისწრო. შიშით ატანილები ერთ ხეზე ავცოცდით და მთელი ღამე ზედ გავატარეთ.

მეორე დღეს დამშეულები კვლავ ჩვენ კორპუსში დავბრუნდით, სადაც მაშინვე კარცერში[2]) ჩაგვყარეს. ასე

---

[1]) მაინ რიდი (1818—1883)—ცნობილი ინგლისელი მწერალი. ავტორი მრავალი რომანისა. 1838 წ. ამერიკაში გადასახლდა. ბევრს მოგზაურობდა. იქ მონაწილეობა მიიღო მექსიკის საწინააღმდეგო ომში. ამერიკის შესწავლის შემდეგ კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და 1849 წელს ლონდონში დასახლდა. სწერდა მოზრდილთათვის.

[2]) კარცერი—მცირე ხნის საპატიმრო საკანი, რომელიც სასწავლებლებში, ყაზარმებში და ციხეებში არსებობდა მეფის რუსეთში.

დამთავრდა ჩემი პირველი მოგზაურობა. მაგრამ ყველაფრის ნახვის, განცდისა და მეზღვაურად გახდომის სურვილი უფრო მეტად გაღვივდა ჩემში. მშობლებს საზღვაო კორპუსში გადაყვანა ვთხოვე, მაგრამ, როცა ცივი უარი მომახალეს, გადავწყვიტე თვითონვე მიმეღწია დასახულ მიზნისათვის. კორპუსში სწავლის კურსი ჯერ დამთავრებული არა მქონდა, ფოთის საზღვაო სასწავლებელში რომ შეველი, იქ მაშინვე ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე გავხდი. 1887 წელს უკვე შორი ნაოსნობის შტურმანის [1]) წოდების გამოცდა ჩავაბარე და იალქნიან გემზე პრაქტიკულ ნაოსნობას შევუდექი.

ბოსფორის [2]) პირველ დანახვაზე უსაზღვრო ბედნიერება განვიცადე, რადგან ამითი იწყებოდა ჩემი საზღვაო ცხოვრება. მაშინ მხოლოდ თვრამეტი წლისა ვიყავ.

მას შემდეგ განუწყვეტლივ ნაოსნობას ვეწეოდი მხოლოდ იალქნიან გემებზე. პირველი ორი წლის განმავლობაში ვცურავდი ხმელთა შუა ზღვაში ავსტრიისა, იტალიისა, ხოლო შემდეგ ინგლისისა და ამერიკის გემებზე საოკეანო რეისებით [3]). რამდენჯერმე შემოვიარე გორნისა, [4]) და კეთილი იმედის [5]) კონცხები, რაც მეზღვაურის სიამაყეს შეადგენს. არაერთხელ გადავსერე ეკვატორი, სადაც მეზღვაურთა ჩვეულებისამებრ ნათლობაც მივიღე. ეს ადათი ნათლობისა შემდეგში გამოიხატება: ერთი ძველი მეზვაურთაგანი ზღაპრული ნეპტუნის [6]) მსგავსად გამოეწყობა, წვერს გაიკეთებს და გრძელ საბანს მანტიასავით მოიხურავს. შემდეგ, ყოველ ახალ მეზღვაურს თავზე წყალს გადაასხამს, სახეს კუპრით გაუმურავს და მერე ნაფოტით გაპარსავს პირს. ამის შემდეგ ნადიმობენ, მღერიან

---

1) შტურმანი—მეზღვაური, რომელიც მესაჭეთა მუშაობას ადევნებს თვალყურს, სასიგნალო საქმეებს განაგებს და სხვ.

2) ბოსფორი—კონსტანტინეპოლის სრუტე, რომელიც შავ ზღვას მარმარილოს ზღვასთან აერთებს.

3) ერთი ბოლაზიდან მეორე ბოლაზამდე განვლილი გზა გემისა.

4) სამხრეთ ამერიკის სამხრეთის კონცხი.

5) აფრიკის სამხრეთის კონცხი.

6) ნეპტუნი—ზღვის რომაული ღმერთი.

და წამისწამ მოსვენებას არ აძლევენ და აწვალებენ გამოუცდელებს, ე. ი. ეკვატორზე პირველად მისულთ.

ზოგჯერ ოთხი და ხუთი თვეობით ველარ ვიხილავდით ხოლმე ხმელეთს. საიალქნო და სატაკელაჟო [7]) სამუშაოები, ავდრები, გაშლილ ოკეანეში ხანგრძლივად ყოფნა დიდ გამოცდილებას სძენს ახალგაზრდას და მისგან საიმედო მეზღვაური დგება. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ფოთელი დირექტორი ლეხნიცკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ნაადრევად არ ავყვეთ გატაცებას და ნაჩქარევად არ ვეძიოთ კაპიტნის მოადგილის თანამდებობა. ამიტომაც მოითხოვს იგი, რომ უფრო მეტხანს ვიცუროთ იალქნიან გემებზე და მით მთელი ეს მძიმე და რთული სკოლა სრულად გავიაროთ. თავს არ შეგაწყენთ ყველა ჩემი რეისის აღწერით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბევრი ფათერაკი გადამხდენია და სიკვდილის პირადაც ხშირად ვყოფილვარ. ასე, მაგალითად, ინგლისიდან კიპტაუნში (კეთილი იმედის კონცხის მიმართულებით) მგზავრობის დროს ჩრდილოეთ ატლანტიკურ ოკეანეზე მარტის ძლიერმა ღელვამ ყველაფერი მოლეკა გემბანიდან, თითქმის გემბანის კაიუტაც, ზვირთებმა შთანთქა ეს მაშველი კანჯოები და ბორტები, დააზიანეს გემის სარქველები. დაღუპვისაგან იმან გვიხსნა, მხოლოდ რომ ინგლისის გემმა „თამარმა“ დროზე მოგვისწრო და ბუქსირით უახლოეს ნაპირზე (ლისაბონში) გაგვიყვანა.

მეორედ ზამთარში, როდესაც ვესტ-ინდოეთიდან ნიუიორკს მივემგზავრებოდით, დიდი განსაცდელი გავიარეთ ცუდი ამინდის გამო. ღელვამ გემბანის კაიუტა წალეკა, თვით გემში წყალმა იწყო ჟონვა და გამუდმებით უნდა გვექაჩა. მუშაობის დროს ტალღას რომ არ წაველეკეთ, ტუმბოზე თოკებით ვიყავით მიბმულნი. განსაკუთრებით აუტანელი ის იყო, რომ ვესტ-ინდოეთის სიცხისაგან ჩრდილოეთ ატლანტიკური ოკეანის მკაცრ სიცივეში ვიყავით გადასული. ვიყინებოდით და ტალღათა მუდმივ სხმაში დიდი გაჭირვებით ვასრულებდით ჩვენს სამუშაოს,

---

7) ხომალდის ყველა ბაწრის მოწყობილობანი.

ნორდის[1]) საზიზღარმა ქარმა იმდენად დააბრკოლა ჩვენი მგზავრობა, რომ ოც დღეს სრულიად უსურსათოდ დავრჩით და მხოლოდ ფქვილითა და შაქრით ვიკვებებოდით, არაფრის არც მოხარშვა შეგვეძლო და არც შეწვა, რადგან ცეცხლის დასანთებად არც საწვავი გვქონდა და არც ადგილი.

უკანასკნელად ვეება სამ-ანძიან ამერიკულ გემზე „Brobert T. Beliknap-ვმსახურობდი. იგი ოცდაერთ რეისიან ოთხი ათას ტონა წყალწყვას შეიცავდა. ამ გემზე მე პირველი განაკვეთის მეზღვაურად (მესაჭედ) დავიწყე მუშაობა ნიუ-იორკში, საიდანაც ნავთით დატვირთულნი იაპონიისაკენ გავემგზავრენით.

გზად კეთილი იმედის კონცხს ჩავუარეთ და ავსტრალიას, ტასმანიასა და ახალ ზელანდიას შორის გავლით მე-165-ე დღეს მიველით იაპონიაში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოგზაურობის მთელ ამ მანძილზე შეეხვდით მხოლოდ ფიჯის ჯგუფის ერთად-ერთი კუნძულის ვანუა-ლევის მიწას იაპონიის ნავთსადგურებში იოკაგამასა, კობესა დანაგასაკში 3 $^1/_2$ თვეს დგომის შემდეგ ჩიკაგოს გამოფენისათვის დავიტვირთენით ფაიფურით, ქაფურით, ხე-ტყით და სხვა იაპონური საქონლით. ხელსაყრელი ზურგის ქარის თანხლებით, რომელიც სწრაფად გვაშორებდა იაპონიის ნაპირებს, კვლავ ნიუ-იორკისაკენ ავიღეთ გეზი. მიმართულება ზონდის სრუტისაკენ (სუმატრასა და იავას კუნძულებს შორის) გვქონდა აღებული. ამ სრუტესთან 10 კვანძის სისწრაფით მივცურავდით და აი კუნძულ ნორდ-ნატიუნიდან 18 მილის მანძილზე უეცრად მარჯნის წყალქვეშა ბრაგას წავაწყდით.

ეს მოხდა 8 იანვარს, დილის ოთხ საათზე. ჩვენმა ვეება ხომალდმა დაბმული მხეცივით იწყო რყევა და წკვეტება. ლაწანით დაიმსხვრნენ და ძირს დაცვივდნენ ბობრამსტენგები და ჭოკნარები. დაჯახების დროს ძირს დავეცით. ყველაფერი ერთბაშად აირია, ყველა გარბოდა და გზაკვალარეული ზღვაში ცვივოდა. ჭრიალებდნენ,

---

1) ჩრდილოეთის ქარი.

იზნიქებოდნენ ანძები და თავზე დამხობითა და გასრესით გვემუქრებოდნენ. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ გემს ძრო გაეღლვა. კიჩო სწრაფად ივსებოდა წყლით და თანდათან ღრმად მიდიოდა ზღვაში. ჭვინთი სულ მაღლა და მაღლა იმართებოდა და არავითარი ზომის მიღება გემის გადასარჩენად არ შეიძლებოდა. თავზარდაცემული კაპიტანი უაზრო, ერთიმეორის საწინააღმდეგო და შესასრულებლად შეუძლებელ ბრძანებებს იძლეოდა. სახელდახელოდ ჩავუშვით ზღვაში მაშველი კანჯოები, ხელი დავავლეთ ყველაზე საჭირო ნივთებს, მცირეოდენ სურსათს და გავშორდით გემს. ღელვისაგან ბრაგაზე ხშირი ხეთქებით მალე მოეღო ბოლო ჩვენს გემს. მისგან მხოლოდ ნამსხვრევები და რანგოუტები-ღა [1]) დარჩნენ, რომელნიც ზღვაზე ტივტივებდნენ. მწუხარებით მივატოვეთ განწირული გემი. სინდისი გვქეჯნიდა, გვიმძიმდა მეგობართან განშორება, ასეთ უბედურებაში მისი მიტოვება, მაგრამ რას ვიზამდით. ვშორდებოდით მას და დიდხანს ვიდექით თავშიშველნი ჩვენს კანჯოებში, ვიდექით ისე, თითქოს საყვარელ მიცვალებულს ვაცილებდით. თვალცრემლიანებმა დაბლა დაუკარით თავი, როდესაც იგი ტალღებმა შთანთქეს.

იმავე 8 იანვრის საღამოს დიდი ჭაპანწყვეტითა და განსაცდელით მივაღწიეთ წყალსზედა და წყალქვეშა მარჯნის ბრაგებით გარშემორტყმულ ნორდნატუნის კუნძულებს, რომელთა ირგვლივ მოვლა და მოულოდნელი დაჯახების აცდენა მეტად ძნელი იყო. იმ დღეს რის ვაივაგლახით გადარჩა 29 კაცისაგან შემდგარი მთელი ეკიპაჟი.

კუნძულის მცხოვრებლებმა მეტად გულთბილად მიგვიღეს. ამ კუნძულზე თეთრკანიანები არა სცხოვრობენ, არც არავითარი ნავიგაცია არსებობს იქ და, მაშასადამე, სამშობლოში დაბრუნების იმედიც ცოტა გვქონდა.

სანოვაგე მალე შემოგვეღლია და მხოლოდ ქოქუსით [1]) ვიკვებებოდით. ამ ხილით მეტად მდიდარია ეს კუნძული.

---

1) გემბანის ხის მოწყობილება.

1) პალმა, რომელიც ძალზე მსხვილ და ნოყიერ საჭმელ კაკლებს ისხამს.

მეოთხე დღეს კაპიტანმა, უნუგეშო მდგომარეობის გამო, გადასწყვიტა გავეგზავნეთ მახლობელ ცივილიზებულ ნავთსადგურში—სინგაპურში. ეს ნავთსადგური ნორდ-ნატენის 360 მილით არის დაშორებული. იგი სთხოვდა ამერიკის ელჩს განკარგულება გაეცა ეკიპაჟის დანარჩენ წევრთა სინგაპურში გადასაყვანად. ჩვენ ხუთნი მეორე თანაშემწემე (მესამე თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი ია-პონიაში ჩასვლის შემდეგ) და სამი მეზღვაური პატარა კანჯოთი გაშლილ ოკეანეში გაველით. ჩვენ გვქონდა საათანადო რუკა, კომპასი, სექსტანტი [2]) და სანოვაგე, რომელიც 48 ქოქუსის კაკლისაგან შესდგებოდა. გამომშვიდობებისას კაპიტანმა გვითხრა, რომ თუ რვა დღე-ღამის განმავლობაში სინგაპურიდან დახმარება არ აღმოა, ჩნდა, მაშინ დანარჩენებთან ერთად ისიც წამოვა იმ იმედით, რომ მალაელები როგორმე გაიყვანენ მას თავისი „ჯონკებით“ (საკმაოდ დიდი ზომის იალქნიანი კარავები).

ჩვენ ძლიერი ღელვის დროს გავშორდით კუნძულს. რაც უფრო შორს მივდიოდით ზღვაში, ღელვა მით უფრო ძლიერდებოდა და მეორე დღეს იმდენად იმატა, რომ შეუძლებელი გახდა კურსით სვლა. ამიტომაც ქარს ღელვის მიმართულებით მივყევით. უკანიდან მოძალებული ტალღა წარამარა ავსებდა ჩვენს კანჯოს წყლით, რომელსაც გამალებით ვხაპავდით და კვლავ ზღვას ვუბრუნებდით. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ახალი სტილით 13 იანვარს შუადღისას ჩვენი კანჯო ვეება ტალღამ გადააბრუნა. ეს ტალღა ჩვენ წინასწარვე შევამჩნიეთ, მაგრამ მისგან თავდაცვის არავითარი საშუალება არ გაგვაჩნდა.

აი წყალში ვართ და სწორედ აქ გაჩაღდა ბრძოლა სიცოცხლისათვის. ძროამობრუნებულ კანჯოს ჩაბლაუჭებულნი ჩვენ თავგანწირულად განვაგრძობდით ცურვას. ირგვლივ მონავარდე ტალღები ისე გუგუნებდნენ, რომ ყურთასმენა აღარ იყო, თან ზვიგენებისაც გვეშინოდა.

---

2) კუთხსაზომი იარაღი.

მათ ბევრს ვხვდებოდით წინა დღეებში. უფრო მსუბუქად რომ გვეცურა, ტანთ სამოსი შემოვიხიეთ და ტიტველნი დავრჩით. მხოლოდ დიდი დანები დავიტოვეთ ტყავის ქამრებზე. იალქნიანი გემის მოსამსახურენი ასეთ დანებს მუდამ თან ატარებენ ხოლმე. ჩვენ ჯერ კიდევ კარგა ადრე შევნიშნეთ, თუ როგორ გვიახლოვდებოდა ქარიშხალი, რომელიც ახლა ძლიერ ტროპიკულ წვიმად იქცა და საგრძნობლად შეასუსტა ტალღათა მრისხანება. ამის შემდეგ მკვდარი ფრთონა იწყო, რაც ჩვენთვის საშიშროებას უკვე აღარ წარმოადგენდა.

ვინ იცის, რამდენჯერ გადმოვაბრუნეთ ჩვენი კანჯო, მაგრამ სველი იალქანი მუდამ სწონიდა, უკანვე ეწეოდა და კვლავ უკუღმა გადააყირავებდა ხოლმე. სხვა რა გზა გვქონდა, გადავწყვიტეთ ისევ იალქანი მოგვეშორებინა კანჯოსათვის, რაც დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ. კანჯოზე მიბმულ იალქანთა ბაგირი გადავჭერით. ამის შემდეგ რამდენიმე საათი მაინც ვიბრძოლეთ კიდევ იმ საათვის, რომ კანჯოდან მთელი წყალი ამოგვეხაპა და შიგ ჩავსულიყავით. ამასობაში დაღამდა კიდეც. ჩვენ ძალზე მოქანცულნი და ლონემიხდილნი ვიყავით. ამ დროს, ჩვენდა საბედნიეროდ, ზღვაში ერთ ნიჩაბს მოვკარით თვალი. როგორც იყო, მოვიხელთეთ, დავიჭირეთ და მით დაკარგული საჭის მაგივრობას ვეწეოდით. უიალქნოდ და უკომპასოდ, უსურსათოდ და კანჯოს მართვის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულებმა და ნაპირებს მოშორებულებმა აბობოქრებულ ოკეანეს მივეცით თავი, ქარსა და ტალღებს ვიენდეთ. ოთხ დღე-ღამეს მივცურავდით ასე. მივცურავდით კანჯოს კვლავ გადაბრუნებისა და ზვიგენების თავდასხმის შიშ ქვეშ. არაფერი არ გაგვეგებოდა თუ სად მივდიოდით, ან შორს იყო თუ არა ნაპირი. მალე შიმშილმაც გვაგრძნობინა თავი. თუმცა წვიმის წყალს ვსვამდით, რაც ძალიან გვშველოდა, მაგრამ მესამე დღეს ეს წყალიც გამოგველია. ყველაზე უფრო შიმშილით სიკვდილი გვაშინებდა. პოლოს ისე შევწუხდით, რომ იმასაც ვნანობდით, თუ რატომ გადავრჩით და ერთბაშად არ დავიღუპენით ზღვაში.

შიმშილი უფრო და უფრო გვაწუხებდა. არ ვიცოდით, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ტანჯვა. სისუსტის, მოქანცვისა და სასოწარკვეთილების გამო ჰალუცინაციებიც მოგვდიოდა. ხან გვეჩვენებოდა, რომ მხსნელი გემი მოემართებოდა ჩვენსკენ, ხან თითქოს შორეულ ნაპირებს ვხედავდით და გული იმედით გვევსებოდა. ყველაზე მეტად ღამეები გვტანჯავდნენ. ზემოთ, ქვემოთ, ირგვლივ უკუნეთი იყო და ტალღებით დაფარულებს ხან აქ, ხან იქ მოკიაფე ფოსფორული ნათელით ისედაც დაქანცული თვალები უფრო გვიჭრელდებოდა. ეს ფოსფორული ნათება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ოკეანეში.

რატომღაც მომაგონდა, რომ ახლა თბილისში ჩემი ნათესავები დიდის ამბით ხვდებიან ახალწელიწადს. ყოველივე ამას ისე ცოცხლად ვხედავდი, თითქო მათი ხმაც მომესმოდა. როცა გონს მოვალი, ავტირდი, ავტირდი, დარწმუნებული, რომ ვერასოდეს ვეღარ ვნახავდი ჩემს მშობლიურ ოჯახს. გადარჩენა ყოვლად შეუძლებელ რამედ მიგვაჩნდა. სასოწარკვეთილნი, უიმედონი სიკვდილს ვუხმოდით. რა უსაზღვრო იყო ჩვენი აღფრთოვანება, როცა მეხუთე დღეს დილით უცხო ნაპირს მოვკარით თვალი. ისე ვიყავით დაოსებულნი, რომ კანჯოს მიბრუნებაც აღარ შეგვეძლო, მაგრამ საბედნიეროდ ღელვამ თვითვე გაგვრიყა და მალე ხმელეთზე გაგვტყორცნა. დიდხანს ვიწექით ლონემიხდილნი, დიდხანს ვეყარენით მიწაზე, რადგან ფეხზე დადგომის ძალაც აღარ შეგვწევდა. მთელი ტანი ისე გვქონდა დაჟეჟილი, რომ ეს ნაჟეჟები მარილიან წყალში ყოფნის გამო იარებად გადაიქცნენ. ყველაზე მეტად ფეხები დაგვისივდა და ისე გავხდით, რომ მხოლოდ ფორთხვა ღა შეგვეძლო. ფორთხვით ვეძებდით და ვჭამდით ცხრაფეხებს, ზღვის ბალახსა და ზღვის უკუქცევით დატოვებულ სხვადასხვა ნარჩენებს. ვჭამდით, რომ რამე მაინც ჩაგვედო პირში და ცარიელი კუჭი ამოგვევსო. რამდენიმე ნაბიჯზე ჯებირივით ამართული ეკალბარდები და ლიანებით დახლართული უზარმაზარი ულრანი ტროპიკული ტყე იწყებოდა. ტყიდან რაღაც ხმები მოისმოდა, ხილო ხეებზე უამრავი მა-

იმუნი დახტოდა. აქამდე ეს ცხოველები ჭირივით მძულ-
დნენ, მეზიზღებოდნენ ცინიკური მოძრაობისა და საზიზ-
ღარი მანჭვა-გრეხის გამო. ახლა, პირიქით, ვერ წარმოი-
დგენთ როგორ მიყვარდნენ ისინი, მიყვარდნენ, როგორც
პირველი ცოცხალი არსებანი, რომელნიც თითქოს ჩვენს
გადარჩენასა და დაბრუნებას ზეიმობდნენ.

მერე რამდენნი იყვნენ და რანაირნი; შავნი, ბანჯგვლია-
ნნი, ბომბორა კუდებით, ,ავისფერნი, ტიტველნი. ყველანი
საოცარი ცნობისმოყვარეობით გვაცქერდებოდნენ, მეგობ-
რულად გვიახლოვდებოდნენ, იმანჭებოდნენ, ყირაზე გა-
დადიოდნენ, იცინოდნენ, იპრანჭებოდნენ. ჩვენ ფხიზლად,
გაფაციცებით ვადევნებდით მათ თვალყურს, ვაკვირდე-
ბოდით, სჭამდნენ თუ არა ისინი რამეს ,ხარბად შევცქერო-
დით იმ იმედით, იქნებ ხეზედან რაიმე ხილი ან ნაყოფი გა-
ვარდნოდათ. გავარდნოდათ ხილი, რომელიც ასე ბლო-
მად იყო ხეებზე. მერე, რა ახლოს იყო ჩვენგან ქოქოსის
პალმები, რა მადიანად გამოიყურებოდა ბათი მუქ-მწვანე
კაკალი, მაგრამ აბა რომელ ჩვენგანს შეეძლო მის ტიტ-
ველ და მაღალ ღეროზე აცოცება და ჩამობერტყვა? ხეე-
ბი ისე იყვნენ ეკალ-ბარდით ერთმანეთზე გადახლართ-
ულნი, რომ ახლოს მისვლაც არ შეიძლებოდა. ვანიშნებ-
დით მაიმუნებს, რომ ძალზე გვშიან, მაგრამ მათ ჩვენი ან
არა გაეგებოდათ-რა, ან არა სურდათ, რომ გაეგოთ.
უცებ ადამიანთა ხმა მოგვესმა. ფეხზე წამოვიჭერით. ნა-
პირს გრძელი, შავი ნავი მოადგა. ნავში სამი შიშველი
მუქ-ყავისფერი კაცი იჯდა. მაშინვე მივხვდით, რომ ესენი
მალაელები იყვნენ. მათ შორიდანვე დაენახათ ჩვენი კან-
ჯო და შეშფოთებულიყვნენ. ეფიქრათ, ალბათ, სულთა-
ნის ნავი თუ არისო, რადგან მათ ქვეყანაში თეთრი ნა-
ვით მხოლოდ სულთანი დადიოდა (ყოველივე ეს შემდეგ
გავიგეთ). დაგვინახეს თუ არა, ნავი იმ წამსვე შეაბრუ-
ნეს, ყურიც არ ათხოვეს ჩვენს მუდარის გამომხატველ
ნიშნებს. მალე სამი კატარღა და რამდენიმე კაცი უკან
მობრუნდა. პირველად შიშის გამო ვერ ვბედავდით ერთ-
მანეთთან მისვლას, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ჩვენ ისე
ვიყავით დაოსებულნი და დაავადებულნი, რომ მათთვის

არავითარი ზიანის მიყენება არ შეგვეძლო, მოვიდნენ, ნავებში ჩაგვსვეს და თან წაგვიყვანეს.

როცა კუნძულს მოუარეთ, ჩვენ თვალწინ მომხიბლავი სანახაობა გადაიშალა: უამრავი პატარა კუნძულები ქოქუსის პალმებით იყო გადაბახჩული. მათ შორის მომხიბლავად გამოიყურებოდნენ მაღალ ხიმინჯებზე შედგმული მალაური ნათელი, თითქმის თეთრი ქოხები. ეს მათი სოფლები იყო და ჩვენც ერთ-ერთ ასეთ სოფელს მივადექით. ჩვენ დანახვაზე დიდძალი ხალხი გამოეფინა—შიშველი მამაკაცები და დედაკაცები. ყველა ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა. მალე სახლებთან მიგვიყვანეს და მაშინვე რაღაც პიტნის მაგვარი სასმელი გამოგვიტანეს, შემდეგ ცოტა ნედლი ბრინჯი და ქონი მოგვცეს. ქალებმა ტანი ზეთით დაგვიზილეს, დაზიანებულ ფეხებზე საცხით გაპოხილი ფოთლები დაგვაფარეს და ჩვრებით შეგვიხვიეს. მერე ისევ გვასვეს და გვაჭამეს, მაგრამ ცარიელ კუჭზე ერთბაშად როდი მოგვცეს ბევრი საჭმელი. პირველად ჩვენებური ფლავის მაგვარი, ყოველ გვარ საკმაზს მოკლებული მოხარშული ბრინჯი მოგვიტანეს. ყველაფერს, რასაც გვასმევდნენ ან გვაჭმევდნენ, პირველად თვითონ სინჯავდნენ, რომ მათ უვნებლობაში დავერწმუნებინეთ. ბოლოს დასაძინებლად მოგვასვენეს და განთიადისას მეორე სოფელში წაგვიყვანეს. ასე გვატარებდნენ ისინი დაახლოებით ათ დღეს ერთი კუნძულიდან მეორეზე,—ყოველთვის ნავით. იმედი ჰქონდათ, რომ ნახავდნენ ვინმეს ისეთს, რომელიც შესძლებდა ჩვენთან ლაპარაკს, რადგან ყოველთვის ნიშნებით გვიხდებოდა მათთან საუბარი. ყველა სოფელში გულთბილად გვღებულობდნენ. მალაელთა სოფლები ქოქუსის ტყეებშია გაშენებული. ლერწმისაგან ლამაზად დაწნული მალაური ქოხი კალათივით გამჭვირვალეა, ისე რომ შიგ ქარი ღაღად დანავარდობს. ქოხები ბოძებზე დგანან და არა მიწაზე. ოჯახის მთელი მორთულობა ქოქუსის კაკლის ნაჭუჭისაგან არის დამზადებული. ლოგინად მეტად ლამაზი, ხშირად ფერადი ბრინჯის ჩალის ბალიშები უფენიათ, აქვთ აგრეთვე ბოჭკოვან მცენარეებისაგან მოქ-

სოვილი ფალასები. მალაელები მაჰმადის სარწმუნოებას მისდევენ, მაგრამ მრავალცოლიანობას მათ შორის ადგილი არა აქვს. ისინი მისდევენ მეთევზეობას, მოჰყავთ ბრინჯი, აშენებენ შაქრის ლერწამს და ხდიან საგოს. პირველად ვნახე, როგორ კეთდება საგო. საგოს პალმა ვებერთელაა და ძალიან ჰგავს ქოქოსის პალმას, მაგრამ არასოდეს ნაყოფს არ ისხამს. საგოს პალმის ლეროებს სჭრიან და მტკნარ წყალში ალბობენ. ამის შემდეგ ხრესავენ იარაღით, რომელიც ჭოპრანსა ჰგავს. ბოლოს ამ გარეცხილს, გაფხეკილსა და გამშრალ ნახერხს ბურღულის სახეს აძლევენ.

მალაელები მოხარშული ბრინჯით, თევზითა და ქოქოსის კაკლით იკვებებიან. პურს სრულიად არ აცხობენ. არც ბოსტნეული მოჰყავთ. მათთვის უცნობია მესაქონლეობა. სვამენ მხოლოდ ქოქოსის რძეს. ზეთიც ქოქოსისა აქვთ და იმასაც იშვიათად ხმარობენ. მას მიმართავენ მხოლოდ როგორც სამკურნალო საშუალებას,.

მალაელის ყოველ ქოხს თავისი მოშინაურებული მაიმუნი ჰყავს, რომელიც ისეა გაწრთვნილი, რომ პატრონის ბრძანებით ადის პალმაზე და ქოქოსსა ბერტყავს. იგი სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით ერკვევა, თუ სახელდობრ რომელი ქოქოსია პატრონისათვის საჭირო: ზეთისათვის—მწვანე. ჭურჭლისათვის—მწიფე, საჭმელად—მწიფე და დახეთქილი. ერთსა და იმავე ხეზე ყოველთვის არის ხოლმე მწიფე, ძწვანე და ჯერ კიდევ უნდილი კაკლები.

მცხოვრებლები შიშველნი არიან. ატარებენ მხოლოდ ძალიან მოკლე წელსქვედა კაბას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ლრმად მოხუცი ქალებიც კი ტანის სწორ ფორმას ინარჩუნებენ, რაც ცუდი არ იქნებოდა მხედველობაში მიეღოთ ევროპელ ქალებს, რომელნიც კორსეტებით და ვიწრო ტანისამოსით იმახინჯებენ ტანის ფორმას.

აქ ყოფნის მეორე კვირის მიწურულში კუნძულ ლინგაზე ერთ ინგლისელ ვაჭართან წაგვიყვანეს, რომელიც თურმე დიდიხანია აქა ცხოვრობს. მან დიდი თავაზიანობით მიგვიღო. თავის ოჯახში დაგვაბინავა. ჩაგვაცვა, რაც მოეპოებოდა. ერთს საცვალი მისცა. მეორეს—ტა-

ნისამოსი. მეტია ლაპარაკი, თუ როგორ გაგვახარა მისმა დანახვამ. ჩვენ შეგვეძლო მასთან ლაპარაკი. ბოლოს როგორც იყო, ისიც გავიგეთ თუ სად ვიყავით. სამშობლოში მალე გაგზავნის იმედიც მოგვეცა. ეს ინგლისელი ჩინებულად არის მოწყობილი. თავისი პლანტაციები აქვს და ჭირნახულით ვაჭრობს. ამ ინგლისელმა კუნძულ ლინგის მალაელ სულთანთანაც წაგვიყვანა. მისი ხის სასახლე შელესილია. წინ უზარმაზარი ტერასი აქვს გამართული და მთელ დღეებს იქ ატარებს. სულთანს ბევრი კარისკაცები ჰყავს. მის წინაშე ვერავინ ვერ ჰბედავს ფეხზე დგომას, უეჭველად ფეხმოკრეფილი უნდა ისხდნენ. ჩვენ, ევროპელებს, გრეხილი სკამები მოგვართვეს. ტანისამოსი არც სულთანს აცვია, მხოლოდ გრძელი მანტია აქვს მოსხმული.

მან ალერსიანად მიგვიღო, სიგარეებით გაგვიმასპინძლდა და საუცხოო ჩაი დაგვალევინა. მერე სასახლეში შეგვიყვანა. მხოლოდ იქ თუ შეამჩნევდით ფუფუნებისადმი პრეტენზიას. იქ ევროპული ლამპებიც იყო, ქანდაკებებიც, სურათებიც, იაპონური ნაწარმი, ნაირნაირი ხიჟარები, მაგრამ ყველაფერი უწესრიგოდ ელაგა. მეორე დღეს თავისი პატარა იალქნიანი ნავით თავის ძმასთან კუნძულ რიოზე გაგვზავნა. ისიც სულთანია. ეს უკვე ევროპულად იყო ჩაცმული. ამ სულთანმაც დიდი სიყვარულით მაგვიღო. თვითეულ ჩვენგანს ათ-ათი მექსიკური დოლარი გვაჩუქა და მალაიას კუნძულების ჰოლანდიელ გუბერნატორთან გავგზავნა. ჩვენ აქ პირველად ვჭამეთ პური. აქ ყველაფერს ცივილიზაციის კვალი ეტყობოდა. ამ კუნძულიდან სინგაპურში ყოველდღე დადიან პატარა გემები და ჩვენც იქ წაგვიყვანეს.

მალაელებთან ყოფნის დროს, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ, გარდა ალერსისა და სალამისა, არა გვინახავს-რა, ისე შევეთვისეთ მათ, რომ კიდევაც დაგვენანა ამ სტუმართმოყვარე ტომის მიტოვება. მალაელთა კუნძულ რიოს სულთნის ნაჩუქარი ფულით სინგაპურში ტანისამოსი და საჭირო ნივთი შევიძინეთ. აქვე შევიტყვეთ, რომ ჩვენს ეკიპაჟს აღარ დაუცდია ჩვენთვის, ის კუნძული მიუტოვებია და რვა დღის შემდეგ მშვიდობით ჩა-

სულან სინგაპურში. აქ ზოგი მათგანი სხვა გემებზე მოწყობილა სამუშაოდ და ზოგნიც აქეთ-იქით წასულ-წამოსულან. ასე რომ სინგაპურში ვერავის ვერ ჩავუსწარით. ამერიკის ელჩთან გამოცხადების შემდეგ რუსეთის ელჩთან მიველ და სამშობლოში დაბრუნების სურვილი გავუცხადე. ორივემ მომცა პირადობის მოწმობა, ავრეთვე ცნობა ჩვენი გემის დაღუპვისა და ყველა საბუთისა და ნივთის დაკარგვის შესახებ. იმ დროს იქ ალჟირს მიმავალი სამხედრო კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“ იდგა. ამ კრეისერით მე პორტ-საიდამდე მიველ. პორტ-საიდში კვლავ რუსეთის ელჩთან გამოვცხადდი სინგაპურში მიღებული ქალალდების დასამოწმებლად. აქ რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემ „ჩიხაჩევზე“ მოვთავსდი და ოდესისაკენ გავემგზავრე. ეს რუსეთის პირველი ქალაქი იყო, რომელიც საზღვარგარეთ ოთხი წლის ყოფნის შემდეგ ვიხილე. როგორი აღფრთოვანება გამოიწვია ჩემში სამშობლოს მიწის დანახვამ, როგორი მოუთმენელი გზნებით აღინთო ჩემი გული! მე ხომ არავითარი იმედი აღარა მქონდა, რომ მას ოდესმე ვნახავდი. მზად ვიყავ დავმხობილიყავ მიწაზე და დამეკოცნა იგი, რომ ამ დროს ჟანდარმი მომიახლოვდა და პასპორტი მომთხოვა. მე მიამიტად ვუპასუხე, რომ არავითარი პასპორტი არა მაქვს-მეთქი, რომ სინგაპურის ელჩის მიერ მოცემული მოწმობა გემის კაპიტანსა აქვს, თან ავუხსენი, რომ ზღვის მარცხი განვიცადე.

ჟანდარმმა პოლიციელების თანხლებით მაშინვე ქალაქის თავთან გამგზავნა. ის ერთსა და იმავე დროს წყალზე მაშველ კომიტეტის თავჯდომარეც იყო. მის მისაღებ ოთახში ხუთ საათს ვიჯექ და ვერავინ ვერა ვნახე. ბოლოს ჟანდარმმა ჩემი ქალალდები პაკეტით მოიტანა და პოლიციელის თანხლებით პოლიციმეისტერთან გამგზავნა, სადაც თითქოს უნდა დავეკითხე და გავეშვი, მაგრამ პოლიცმეისტერი ვერა ვნახეთ. იქიდან ბულვარის უბნის საპიტიმრო მაგიდის უფროსის განკარგულებაში გადამგზავნეს. უფროსმა ირონიული წინადადება მომცა, რომ „ბინაში გავმგზავრებულიყავ“, სადაც მაშინვე წამიყვანეს. სია-

მოვნებით მივდიოდი და ერთხელაც არ დავეჭვებულვარ, თუ როგორ ბინაში მივყავდი მათ. ძალზე გავოცდი, როდესაც საპოლიციო უბანში მიმიყვანეს. იქ ექვს ჭუჭყიან ძონძებში გახვეულ მაწანწალასთან ერთად მომათავსეს და კარები გამომიკეტეს. წარმოიდგინეთ, როგორ გამაბრაზებდა ასეთი მოპყრობა. მაშინვე მოვითხოვე, რომ ვინმეს დავეკითხე, რადგან უხეშად მატარებდნენ ქუჩა-ქუჩა ყარაულის ქვეშ დილის რვა საათიდან ორ საათამდე. თამბაქოს მოწევას მიკრძალავდნენ, მიყვიროდნენ და არავინ არა მკითხა, თუ საიდანა ვარ ან ვინა ვარ. ჩემს მოთხოვნაზე, რომ პოლიცმეისტერთან წავეყვანე, დარაჯმა უხეშად მიპასუხა: „ისე მოვხუცდით, რომ პოლიცმეისტერი თვალით არ გვინახავს და შენ ახლავე გინდა ნახოვო“. საღამოთი იმავე ბულვარის უბნის საპატიმრო განყოფილების უფროსთან წამიყვანეს, რომელმაც ბოქაულებისა და უბნის ზედამხედველის თანდასწრებით დამკითხა.

ბოქაულმა შენიშვნა მისცა მას იმის გამო, რომ უბანში შუადღისას მოსული ჩემი საბუთები აქამდე პოლიცმეისტერთან არ გადაეგზავნა. მაგიდის უფროსმა პასუხის გაცემა ვერ მოახერხა და ამით გათავდა ყველაფერი.

მეორე დღეს დილით ისევ საპატიმრო მაგიდის უფროსთან წამიყვანეს. ის შემეკითხა, თუ რას ვაპირებ. ჩემს პასუხზე, რომ სამშობლოში მინდა დავბრუნდე-მეთქი, გაკვირვებით შემეკითხა: „მაშასადამე, სახსრები გქონიათ?“ მე ვუპასუხე, რომ მან კარგად იცის, თუ როგორ დავკარგე ყველაფერი, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ გემის ყოველი კაპიტანი სულგრძელობას გამოიჩენს და, როგორც მეზღვაურს, რომელსაც ასეთი უბედურება შეემთხვა, უფასოდ მიმიყვანს ბათუმამდე-მეთქი. მეორე დილით მან წინადადება მომცა, რომ ბადრაგქვეშ გამევლო ქალაქში, რათა ან ვინმე ნაცნობი, ან ისეთი კაპიტანი მომენახა, რომელიც ჩემს ბათუმში წაყვანას იკისრებდა. და ყოველივე ამას ისე მეუბნებოდა, თითქოს ვალდებულიც ვიყავი, რომ მადლობა გადამეხადა. იმავე საღამოს ვნახე გემი, რომელმაც ჩემი ბათუმს ჩაყვანა იკისრა, რის შესა-

ხებაც მაგიდის უფროსს განვუცხადე. მან კი პასუხის მაგიერ მთხოვა, რომ ერთი საათი კიდევ დამეცადა და შემდეგ გამიშვებდნენ. ბოლოს ამ ერთი საათის შემდეგ გულგრილად გამომიცხადა, რომ პოლიციმეისტერი ჩემი გაშვების ნებას არ იძლევა და გადაწყვეტილი აქვს შინ ეტაპით გამგზავნოს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა არის ეტაპი, დაცინვით მიპასუხა: „აი, გატარებენ ერთ, ორ, სამ თვეს. ერთ გადასაგზავნ ციხეში ორ კვირას გაყურყუტებეხ, მეორეში სამს და ასე". გავოცდი. არ მესმოდა, თუ რად შემიქციეს აქამდე ამდენი დაპირებით და ახლა, ისიც ერთ საათში ასეთი გადაწყვეტილება მომახალეს. ვთხოვე დეპეშით მაინც შეატყობინონ მამაჩემს, მაგრამ უფულოდ არ მოისურვეს. ვთხოვე, რომ ბათუმამდე გემით გავეგზავნე, თუნდაც ათი გამყოლით და იმ პირობით, რომ მამაჩემი ყველა ხარჯს გადაიხდიდა, მაგრამ ამაზედაც ცივი უარი მივიღე. და აი ქალაქის ციხეში წამიყვანეს ყარაულის ქვეშ, სადაც ეტაპის შედგენამდე უნდა ვმჯდარიყავი. განა ასე ადვილი იყო ჩემთვის იქ ჯდომა! გალიაში დამწყვდეულ მხეცს დავემსგავსე; ცოფი მახრჩობდა. შინ დეპეშის გაგზავნა არ შემეძლო, რადგან ფული არა მქონდა. ვცდილობდი როგორმე უფროსთა ყურადღება მიმექცია და მივაღწიე კიდეც მიზანს. ზედამხედველმა მირჩია, მიმემართა ციხის უფროსისათვის, ამ მეტად კეთილ ადამიანისათვის. მე მაშინვე ავუხსენ მას ჩემი აუტანელი მდგომარეობა. მან დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემს საქმეში და მირჩია, რომ ოდესის ქალაქის უფროსის სახელზე თხოვნა შემეტანა, თან აღმენიშნა ყოველივე ის, რაც თავს გადამხდა და მეთხოვა ეტაპით არ გავეგზავნე ოდესიდან. ყოველივე ეს შევასრულე. მეორე დღეს სკოლის ამხანაგმა მინახულა და მისი თავდებობით მასვე გამაყოლეს. გემი, რომელზედაც ეს ამხანაგი შტურმანის მოწაფედ მუშაობდა, ორი დღის შემდეგ ფოთისაკენ მიემართებოდა. მანამდე კი სადმე უნდა დავბინავებულიყავ. და აი მან იკისრა, რომ როგორმე თავის ნაცნობთან მომაწყობდა, მაგრამ ქალაქში ცხოვრების ნებართვა არა მქონდა. კვლავ იმ შავ დღეზე გაჩენილ ბულვარის უბან-

ში წაველ და იმავე საპატიმრო მაგიდის გამგეს ვთხოვე, რომ ქალაქში ცხოვრების ნებართვა მოეცა. მან სიტყვა უბრალოდ მომიჭრა: რომ მე ელჩებისაგან მოცემული პირადობის მოწმობა მაქვს და რომ ეს სრულიად საკმარისია.

აქ კი სიბრაზისგან გიჟივით გადავიხარხარე: „მაშრათ მაწამეთ ოთხ დღეს ციხეში, თუ ის ქაღალდები გამოდგებოდა და მათი საშუალებით ცხოვრებაც შემეძლო ოდესაში?“ იმავე ამხანაგის რჩევით თავი გავანებე მას და ყოვლად საპატიო და ყველასაგან პატივცემულ მოხუც ადმირალ ბატონ ჟუკოვთან მივედი. მან მაშინვე მიმიღო, მომისმინა, მამობრივად მომიალერსა და უფასო სამგზავრო ბილეთი მომცა.

ასე დამთავრდა ამ უკანასკნელი ცურვით გამოწვეული ჩემი ჭირვარამი. უნდა ვაღიარო, რომ გემის დაღუპვით განცდილი ყველა ტანჯვა, უბედურება და შემდგომ ოკეანეში ნახული საშინელება ბევრად უფრო მკრთალად ჩამრჩა მეხსიერებაში, ვიდრე ის უსამართლობა, რომელიც ოდესაში განვიცადე. როგორ მოვისწრაფოდი, როგორ მოვილტვოდი სამშობლოსაკენ და რა ულმობელად შემბოჭეს! ველურებმა მაჩვენეს ალერსი, მიმკურნალეს, თანაგრძნობით, მიმიღეს და ყოველმხრივი დახმარება გამიწიეს, და აი—მშობლიურ მიწაზე პირველი ფეხის დადგმისთანავე ვნახე უხეში მოპყრობა, ნაცვლად მისალმებისა და გულთბილი შეხვედრისა, რისი ღირსიც ვიყავ, როგორც ბევრი უბედურების გადამტანი.

А. Чавчавадзе
РАССКАЗ МОРЯКА
(на грузинском языке)
НАРКОМПРОС ГРУЗИНСКОЙ ССР
ДЕТГИЗДАТ

ყდა მხატვრ. ს. გაბაშვილისა
რედაქტორი ვ. ჯიაურელი

გამომც. „საბჭოთა წიგნალი“ სტამბა თბილისი,
პლეხანოვის პროსპექტი 181 შეკ. 283 უე—9957

ᲨᲔᲚᲘᲡ 5 ᲨᲔᲚ.

91
Ф 151

БУКИНИСТИЧЕСКИЙ
Магазин № 22
СДАЧИ ГНИГ
Инвент. № 1205/6
Цена 1 — 26

475

155
× 40
6200

16 × 2

481
− 324
157
× 40
62,80